ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №318/ბ

თბილისი „ 25” ივლისი 2011 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთის მხრივ, სსიპ **„სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო”** (შემდგომში - „შემსყიდველი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ მახარაშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს „ჰუმანა ჯორჯია“** (შემდგომში - ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მანანა შენგელიას სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვა, 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში, სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების (ფილიალების) საჭიროებისათვის ბავშვთა კვების (ობიექტის ერთგვაროვნება 15800000 - სხვადასხვა საკვები პროდუქტები) შესყიდვაზე და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **5740,84** (ხუთი ათას შვიდას ორმოცი ლარი და 84 თეთრი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების საერთო ღირებულება“).

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება დანართი #1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან მიმდინარე წლის 10 აგვისტოს ჩათვლით, შემსყიდველის ოფისებში. მისამართები გათვალისწინებულია დანართი N1-ში.

4.2. „მიმწოდებლის“ მიერ ფაქტიურად მიწოდებულ საქონელზე ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს მიწოდებიდან არანაკლებ 10 თვისა.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად.

5.2. საქონლის მიღებისას სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 პუნქტის 15.2.1 და 15.2.2 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

5.3. იმ შემთხვევაში თუ, მიწოდებული საქონელი შეესაბამება ხელშეკრულების დანართი №1-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული პირი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ახორციელებს მიწოდებული საქონლის მიღებას, ხოლო თუ, საქონლის მიწოდების პროცესში გამოვლინდება, რომ საქონელი არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების დანართი №1-ით

გათვალისწინებულ მოთხოვნებს შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს ნაკლოვანი საქონელი და დაუბრუნოს იგი მიმწოდებელს მიმწოდებლის ხარჯით.

5.4 მიმწოდებელმა მიწოდების ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 დღისა შემსყიდველს წერილობით უნდა წარუდგინოს საქონლის მიწოდებისას სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი შუალედური ინსპექტირების დასკვნები, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები, სასაქონლო ზედნადებები და საგადასახადო ანგარიშფაქტურა.

5.5.ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. #15ა, სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო".

5.6. ხელშეკრულების 5.4. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმეტების კონტროლს განახორციელებს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"-ს **დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი**, რომელიც წერილობითი მომართვის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში ახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმებას, ადგენს საბოლოო ინსპექტირების დასკვნას და ხარვეზის არარსებობის შემთხვევაში ახორციელებს მიმწოდებელთან მიწოდებულ საქონელზე საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას, ხოლო ხარვეზის არსებობის შემთხვევაში საბოლოო ინსპექტირების დასკვნის და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება განხორციელდება ხარვეზის აღმოფხვრიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

6.3.ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების 5.6. პუნქტის შესაბამისად გაფორმებული საბოლოო ინსპექტირების დასკვნის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებებისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის საფუძველზე საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და უზრუნველყოს თანხლები დოკუმენტაციის წარდგენა.

7.1.2. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

7.1.3 კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.4 დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულებით შესრულებასთან;

7.1.5. „შემსყიდველს" მიაწოდოს საქონელი, რომლის ვარგისიანობის ვადა უნდა იყოს მიწოდებიდან არანაკლებ 10 თვისა.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს „მიმწოდებლი" –სათვის თანხის გადახდა.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2 ,,შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1. აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

8.2.2. უარი განაცხადოს უხარისხო საქონლის მიღებაზე.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს `შეთანხმების~ სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების

შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულების მე–7 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო ვალდებულების შესრულების ყოველვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის;

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე

15.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

15.2.1. საქონლის მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

15.2.2. მიწოდებული საქონლის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან - ხელშეკრულების დანართი №1 -თან შესაბამისობის დადგენა , შუალედური ინსპექტირების დასკვნის შედგენა და შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

15.2.3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე საბოლოო კონტროლის განხორციელება, საბოლოო ინსპექტირების დასკვნის შედგენა მიმწოდებელთან საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

15.2.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

15.3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო“-ს დირექტორის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირები.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2011 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 7 გვერდზე 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" ორი ეგზემპლარი _ „შემსყიდველთან"

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"	შპს „ჰუმანა ჯორჯია"
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. №144	ქ. თბილისი, ბაგრატიონის ქ. N6
სახელმწიფო ხაზინა	ტელ: (822) 38 93 89
კოდი № TRESGE22	„პროკრედიტ ბანკი"
ა/ა № 200122900	კოდი N MIBGGE22
ს/კ № 202465153	ა/ა GE95PC0133600100036737
	ს/კ 204963959
თამარ ძახარაშვილი	მანანა შენგელია
დირექტორი	გენერალური დირექტორი

დანართი #1

№	15884000 დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	1 კოლოფის ფასი	საერთო ღირებულება	სააგენტოს ტერიტორიული ერთეულის დასახელება და მისამართი
1	15884000 Humana 1	კოლოფი (300 გრ)	70	8.33	583,1	თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი: თბილისი, ნუცუბიძის 1. N3
			70		583,1	მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლი: აჭარა, მახინჯაური
2	Humana 2	კოლოფი (300 გრ)	82	8.33	683,06	თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი: თბილისი, ნუცუბიძის 1. N3
			70		583,1	მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლი: აჭარა, მახინჯაური
3	Humana pre	კოლოფი (300 გრ)	16	8.33	133,28	თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი: თბილისი, ნუცუბიძის 1. N3
4	Humana მზა ფაფა	კოლოფი (250 გრ)	400	5.39	2156	თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი: თბილისი, ნუცუბიძის 1. N3

5	Humana ხილის პიურე	ქილა (125 გრ)	480	2.06	988,8	თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლი: თბილისი, ნუცუბიძის ქ. N3
6	ჩაი საბავშვო	კოლოფში (200 გრ)	5	6.08	30,4	მახინჯაურის ჩვილ ბავშვთა სახლი: აჭარა, მახინჯაური
				სულ:	**5740,84 ლარი**	

სსიპ "სახელმწიფო ზრუნვის სააგენტო"ს
დირექტორი

თ. მახარაშვილი

შპს „ჰუმანა ჯორჯია"
გენერალური დირექტორი

მ. შენგელია